ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 8-24

"28" ივნისი 2013 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

04/76557-13
08.07.13

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (22 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 22 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მეგრელიძის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.15.017.023) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება და ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №15), მოქ. ჯ. დოლიძე.

2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირის №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-ს, საცხოვრებელ ზონა 6-ს, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და სპეციალურ ზონას შორის.

სარეკრეაციო ზონა 1, საცხოვრებელი ზონა 6, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და სატრანსპორტ ზონა 1 იცვლება სპეციალური ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), მოქ. შ. საგანელიძე.

3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ზემო ლისში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.04.029.060) დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონას, საცხოვრებელ ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

საცხოვრებელი ზონა 2 და სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სპეციალური ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), მოქ. მ. კობალავა.

4. ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონში, I კვარტალში, ავტოფარეხის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.025.158) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.

5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.152) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 3-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და სპეციალურ ზონას შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 და საცხოვრებელი ზონა 3 იცვლება სპეციალური ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), მოქ. პაატა ფხაკაძე.

6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ მიმავალ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.170) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1–ს შორის.

ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), მოქ. შ. გვანცელაძე.

7. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხარაგაულის ჩიხის №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.028) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №19), მოქ. ა. დავიდოვი.

8. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ. №181-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.19.35.007.051) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სამრეწველო ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. მ კაპანაძე.

9. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გუდაუთის ქ. №7-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.13.05.004.145) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა და სარეკრეაციო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. ა. წულაძე.

10. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, "დიდი დიღმის ტერიტორიაზე" არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.72.14.037.467) და მიმდებარე ტერიტორიაზე დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. ვ. ჩაკვეტაძე.

11. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის ქ. №10-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.19.23.020.001) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონასა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. ი. მაჭავარიანი.

12. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ აგარაკში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №72.16.09.692) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 3-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. ა. იბრაგიმოვა.

13. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იუმაშევის ქ. №27-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.132) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და სამრეწველო ზონა 2-სშორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სამრეწველო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. მოჰამედ ჰასან გივე ჩიან.

14. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზიაშვილის ქ. №37-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.16.03.005.025) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №20), მოქ. თ. ჯავახიშვილი.

15. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დოლიძისა და ბალანჩივაძის ქუჩებს შორის არსებულ სკვერთან, არსებულ მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.17.035.001) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №21), მოქ. ლ. კალმახელიძე.

16. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქ. №22-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.007.033) დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონას, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 და სპეციალური ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №21), მოქ. გ. ცაგარელი.

17. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტალის 1 კომპლექსის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.35.005.031-მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 6-სა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №21), მოქ. ივ. მიჩიტაშვილი.

18. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ახალდაბის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.092) მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 3-სა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №22), მოქ. ვ. გაგოიძე.

19. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზემო ვეძისის ქ. №6ა-ს მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი №01.10.18.006.014-ის მომიჯნავედ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხორებელ ზონას შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით, ასევე, ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2012 წლის ოქმი №22), მოქ. გ. ლიფონავა.

20. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ ლისში, "ხოდაბუნებში" არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.007.222, 01.14.16.007.221) და მათ მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საცხოვრებელ ზონა 2-ს, სარეკრეაციო ზონა 3-სა და სასოფლო-სამეურნეო ზონას შორის.

ზუსტდება საზღვრები სატრანსპორტო ზონა 1-ს, საცხოვრებელ ზონა 2-ს, სარეკრეაციო ზონა 3-სა და სასოფლო-სამეურნეო ზონას შორის ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №22), მოქ. ა. პაველიაშვილი, კ. მოჩილაძე.

21. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის II ფერდობსა და V მიკრორაიონებს შორის არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.01.002.038) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 6-სა და სარანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სარანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №22), მოქ. ა. მარშანია.

22. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.043) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და სამრეწველო ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სამრეწველო ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №22), მოქ. ალ. გიორგაძე.